ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 56

30 მარტი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №04.14.117 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**